აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №10

25/09/2020 წელი **ქ. ბათუმი**
14[00] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: სოფიო კახაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე, მარიამ გუგუნავა, კახაბერ ჯაიანი, ირაკლი გვარამია, რამაზ ფირცხალაიშვილი და დავით ჯინჯოლავა.

არ ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, კობა გაბაიძე და დავით ქარცივაძე.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ წარმომადგენელი ქრისტინე გურგენიძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა.(ა).ი.პ. „მშვიდობა, თანადგომა, სოლიდარობა“ რეგისტრაციის შესახებ;

3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	9;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა.(ა).ი.პ. „მშვიდობა, თანადგომა, სოლიდარობა“ რეგისტრაციის შესახებ;

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტი და კომისიას შესთავაზა ემსჯელათ და ერთობლივად მიეღოთ გადაწყვეტილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საარჩევნო ოლქში იქნეს არჩეული უსკოს წარმომადგენელი თუ მხოლოდ 3 (სამი) ძირითად საარჩევნო ოლქში, ასევე ემსჯელათ კანდიდატის ასაკზე, ანაზღაურების ოდენობაზე და საარჩევნო მოხელის სერტიფიკატის მოთხოვნის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჯაიანმა, დავით ჯინჯოლავამ, ირაკლი გვარჯალაძემ, სოფიო კახაძემ, მარიამ გუგუნავამ, ტარიელ გოგიტიძემ, ირაკლი გვარამიამ, რამაზ ფირცხალაიშვილმა და პარმენ ჯალაღონიამ.

კახაბერ ჯაიანმა სთხოვა უსკოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს, ფრიდონ ბათნიძეს, კომისიისათვის განემარტა საარჩევნო კანონმდებლობით უსკოს ვალდებულებაა თუ არა უსკოს წარმომადგენლების არჩევა.

ფრიდონ ბათნიძემ განმარტა, რომ უსკოს წარმომადგენლების არჩევა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, უსკოს უფლებამოსილებაა და არა ვალდებულება.

კახაბერ ჯაიანმა აღნიშნა, რომ უსკოს წარმომადგენლების არჩევა და მათთვის თანხის გამოყოფა არ მიაჩნია სწორად და თვლის, რომ უსკოს წარმომადგენლებისათვის გამოყოფილი თანხები არამიზნობრივი ხარჯვაა. მას მიაჩნია, რომ ეს თანხა უნდა მოხმარდეს სხვა საარჩევნო ღონისძიებებს იქ სადაც ამის უფრო მეტი საჭიროებაა, თუნდაც საარჩევნო ოლქებისათვის დამატებით საწვავის შესყიდვა და გადაცემა. მისთვის ასევე მიუღებელია უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებისათვის საარჩევნო სერტიფიკატის მოთხოვნა, ვინაიდან, მას მიაჩნია, რომ უსკოს წარმომადგენელი საარჩევნო ოლქებში იქნება დამხმარე ტექნიკური მუშაკი და მათი არჩევის შემთხვევაში ისინი შეასრულებენ მხოლოდ ტექნიკურ ფუნქციებს, რისთვისაც მათ დამატებით სერტიფიკატის ქონა არ უნდა მოეთხოვებოდეს.

პარმენ ჯალაღონიამ განმარტა, რომ დამხმარე ტექნიკური პერსონალი ასრულებს ტექნიკურ ფუნქციებს ხოლო უსკოს წარმომადგენელი წარმოდგენილი განკარგულების პროექტით და საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად სარგებლობს სრული უფლებამოსილებით საარჩევნო ოლქში.

დავით ჯინჯოლავას მიაჩნია, რომ უსკოს წარმომადგენლების არჩევა სრულიად უფუნქციო გამოგონებაა. თუმცა თვლის, რომ თუ უსკო მაინც აირჩევს უსკოს წარმომადგენლებს არჩეული იქნეს აჭარის ტერიტორიაზე არსებულ 6 (ექვსი) საარჩევნო ოლქიდან მხოლოდ 3 (სამ) ძირითად ოლქში. ასევე აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელია განკარგულების პროექტით მოთხოვნილი კრიტერიუმებიდან 1.1. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში აღნიშნული „დ) პარტიული კუთვნილება“ და მიაჩნია, რომ მოთხოვნილი კრიტერიუმებიდან უნდა იქნას ამოღებული „პარტიული კუთვნილება“. დავით

ჯინჯოლავას ასევე მიაჩნია, რომ თუ წარმომადგენელს მოეთხოვება საარჩევნო გამოცდილება მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ საარჩევნო მოხელის სერტიფიკატი. ასევე დაინტერესდა წარმომადგენლებს ანაზღაურება ხომ არ ექნებოდათ განსხვავებული.

პარმენ ჯალაღონიამ, განმარტა რომ განკარგულების პროექტში მითითებული თანხის ოდენობაზე კომისიას ემსჯელა და ერთობლივი გადაწყვეტილება მიეღოთ.

ირაკლი გვარჯალაძემ და სოფიო კახაძემ აღნიშნეს რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მოთხოვნა უსკოს წარმომადგენლების შესარჩევად სავალდებულოა, ვინაიდან მათ მინიმალური საარჩევნო უნარჩვევები უნდა გააჩნდეთ, რადგანაც მათ მოუწევთ როგორც ტექნიკური ასევე საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, სხვადასხვა დავალებების შესრულება საარჩევნო ოლქებში. ასევე მიჩნიათ რომ აჭარის ტერიტორიაზე ექვსივე საარჩევნო ოლქში უნდა იქნეს არჩეული უსკოს წარმომადგენელი.

რამაზ ფირცხალაიშვილი, ირაკლი გვარამია და მარიამ გუგუნავა იზიარებენ კომისიის უმრავლესობის აზრს და მიაჩნიათ, რომ აჭარის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საარჩვენო ოლქში უნდა იქნეს არჩეული უსკოს წარმომადგენლები, ანაზრაურების ნაწილში უსკოს წარმომადგენლებისათვის უნდა განისაზღვროს არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობა და კანდიდატისათვის საარჩევნო გამოცდილების ვალდებულება, ასევე მიაჩნიათ, რომ განკარგულების პროექტიდან უნდა იქნეს ამოღებული პარტიული კუთვნილება.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ უსკოს წარმომადგენლების უფლებამოსილების ფარგლები შეესაბამება ცესკოს წარმომადგენლების უფლებამოსილებებს, მისი განმარტებით უსკოს წარმომადგენლებმა კენჭისყრის დღეს შეუფერხებლად უნდა მოაწოდოს უსკოს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შემაჯამებელი მაჟორიტარული და პროპორციული ოქმები, საარჩევნო ოლქებში და უბნებში არსებული განცხადება/საჩივრის შესახებ ინფორმაცია, განკარგულების პროექტის თანახმად, უსკოს წარმომადგენლებს დაევალებათ შეასრულონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების

ხელმძღვანელ პირთა კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სხვა დავალებები.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის სხდომაზე გამოთქმული (შესწორებების) შენიშვნების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;
წინააღმდეგი 2;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ[2]“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესი და ვადები:

1.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლობის მსურველმა უმაღლეს საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც კანდიდატმა უნდა მიუთითოს:

ა) სახელი;

ბ) გვარი;

გ) საკონტაქტო მისამართი;

დ) იმ საარჩევნო ოლქის ნომერი სადაც სურს წარმომადგენლობა;

ე) ტელეფონის ნომერი (თუ აქვს).

1.2. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი და მას უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ქსეროასლი;

ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

გ) არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3X4; ე) საარჩევნო მოხელის სერტიფიკატის ასლი.

1.3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლობის მსურველებმა უმაღლეს საარჩევნო კომისიას (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება) განცხადებით უნდა მიმართონ 2020 წლის 26 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. (მის: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ N2, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია (განცხადების წარდგენა ასევე შესაძლებელია ელექტრონული წესით, უსკოს ოფიციალური ელ-ფოსტის მეშვეობით მისამართზე: (**info@sec.ge).**

1.4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა შესარჩევად შესაბამისი განცხადების გამოქვეყნებას თავის ვებ-გვერდის მეშვეობით (საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება).

1.5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის კანდიდატურების საბუთების შესწავლა და შერჩეულ პირთა წარდგენა უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის განხორციელდეს განცხადების შეტანის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს ორი დღისა. განცხადებების მიღებას, რეგისტრაციას, საბუთების შესწავლას, გადარჩევას და უსკოსათვის წარდგენას უზრუნველყოფს უსკოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება. ამ განკარგულების პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით წარმოდგენილი განცხადება არ განიხილება.

1.6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, გარდა:

ა) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა;

ბ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრისა;

გ) მუნიციპალიტეტის მერის და მისი მოადგილისა;

დ) მოსამართლისა;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისა;

ვ) პროკურატურის თანამდებობის პირისა;

ზ) საარჩევნო სუბიექტისა და მისი წარმომადგენლისა;

თ) საარჩევნო კომისიის წევრისა;

ი) დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლისა;

კ) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლისა;

ლ) საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი კანდიდატისა;

მ) პარტიის წევრისა.

1.7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევა ხდება, განცხადების რეგისტრაციის რიგითობის მიხედვით, უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

1.8. თითოეულ კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე, არჩეულად ჩაითვლება ის პირი ვინც მეტ ხმას მიიღებს, ხმათა თანაბრობის შემთხვევაში ამ კანდიდატებს ხელახლა ეყრებათ კენჭი.

1.9. თუ პირველსავე სხდომაზე ვერ აირჩა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი, წარდგენილ კანდიდატებს ხელახლა ეყრება კენჭი. თუ ვაკანსია კვლავ არ შეივსო, იმართება კიდევ ერთი კენჭისყრა. თუ ვაკანსია კვლავ შეუვსებელი დარჩა წარმომადგენელთა შესარჩევი პროცედურა თავიდან იწყება.

1.10. №79 ბათუმის (სამოქმედო ტერიტორია 28 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი), №81 ქობულეთის (სამოქმედო ტერიტორია 29 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი) და №80 ქედის, №82 შუახევის, №84 ხულოს, №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში (სამოქმედო ტერიტორია 30 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი), უმაღლესი საარჩევნო კომისია ირჩევს თითო წარმომადგენელს.

2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების უფლებამოსილებები და დაფინანსების წესი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის:

2.1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს:

ა) ევალებათ იმოქმედონ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩვენო კოდექსი“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტებისა და ინსტრუქციების შესაბამისად;

ბ) უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შევიდნენ შესაბამის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისა და კენჭისყრის შენობებში და სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ უმაღლეს საარჩევნო კომისიას;

გ) არ აქვთ უფლება ჩაერიონ საარჩევნო კომისიის მუშაობაში;

დ) ევალებათ საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების დავალებით ან/და უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების შესაბამისი მითითებების საფუძველზე შეისწავლონ საარჩევნო კომისიებში შესული განცხადებები/საჩივრები და მოკვლეული მასალები და ინფორმაცია მიაწოდონ აღნიშნულ პირებს, საჭიროებისამებრ კომისიის სხდომაზე განსახილველად;

ე) ევალებათ უმაღლესი საარჩევნო კომისიის ან/და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების მითითებების საფუძველზე, მოახდინონ საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევებზე პრესითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ ფაქტებთან დაკავშირებით, შესაბამისი ინფორმაციისა და მასალების შეგროვება და მათი აღნიშნული პირებისადმი წარდგენა;

ვ) ევალებათ შეასრულონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სხვა დავალებები.

2.2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების საქმიანობა დაფინანსდება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან, ერთჯერადად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე 1000 ლარის ოდენობით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებმა - კახაბერ ჯაიანმა და დავით ჯინჯოლავამ კომისიის სხდომა დატოვეს (14:40 სთ).

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა.(ა).ი.პ. „მშვიდობა, თანადგომა, სოლიდარობა“ რეგისტრაციის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა.(ა).ი.პ. „მშვიდობა, თანადგომა, სოლიდარობა“ რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა.(ა).ი.პ. „მშვიდობა, თანადგომა, სოლიდარობა“ რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-12 პუნქტის და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. „მშვიდობა, თანადგომა, სოლიდარობა“ მიერ 2020 წლის 24 სექტემბერს წარმოდგენილი განცხადების (უსკოში რეგისტრაციის №01-26/93) საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დონის საარჩევნო კომისიაში, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას **ა.(ა).ი.პ. „მშვიდობა, თანადგომა, სოლიდარობა“.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	**პარმენ ჯალაღონია**
კომისიის მდივანი	**სოფიო კახაძე**